საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თაბასარანული ენა

თაბასარანული ენა, იბერიულ-კავკასიური ენების დაღესტნურ ენათა ჯგუფის ლეზგიური ქვეჯგუფის ენა. გავრცელებულია სამხრ. დაღესტანში, თაბასარანისა და ხივის რ-ნებში. თ. ე-ზე ლაპარაკობს 54 ათ. კაცი (1970).

თ. ე-ში გარჩეულია ხმოვნები: ა, ი, ე, უ. ფარინგალიზებული ა, უ, მოკლე ხმოვნები უმახვილო ხმოვანთა დასუსტების შედეგია, გრძელი – სხვა ფონეტ. ცვლილებებისა. მახვილი სუსტია, დინამიკური, ზოგჯერ გრამატ. მნიშვნელობაც აქვს. თანხმოვანთა სისტემაში გვაქვს დენტოლაბიალიზებული შიშინა ფონემები. ბილაბიალიზაცია წარმოდგენილია სამხრ. დიალექტში, ჩრდ. დიალექტში დაკარგულია. ხშულთა სისტემა ოთხეულებრივია, სპირანტთა – სამეულებრივი (სამხრ. დიალექტში – წყვილეულებრივი).

თ. ე-ში გარჩეულია 2 – ადამიანისა და ნივთის – გრამატ. კლასი (სამხრ. დიალექტის ზოგიერთი კილოკავის ზმნა უკვე აღარ განარჩევს კლასებს). ძირითადი ბრუნვებია: სახელობითი, ერგატივი, მიცემითი, ნათესაობითი, ადგილობითი. ბრუნვები წარმოდგენილია 7 (კილოკავებში – 8) სამ-სამბრუნვიანი სერიით. პირის ნაცვალსახელებში გარჩეულია ინკლუზივისა და ექსკლუზივის ფორმები. ზმნა იცვლება გრამატ. კლასებისა და პირის მიხედვით (კლასოვანპიროვანი უღვლილება). პირის ნიშნები ნაცვალსახელური წარმოშობისაა. გარდამავალი ზმნა პოლიპერსონალურია: პრეფიქსული კლასნიშანი გამოხატავს უახლოეს ობიექტს, სუფიქსური პირის ნიშანი – სუბიექტს. გვარი მორფოლოგიურად დიფერენცირებული არაა. ზმნა დაირთავს ლოკატიურ პრევერბებს.

სინტაქსური კონსტრუქციებია: ერგატიული – გარდამავალ ზმნასთან, ნომინატიური – გარდაუვალ ზმნასთან, დატიური – გრძნობა-აღქმის გამომხატველ ზმნებთან.

თ. ე-ში გამოიყოფა 2 დიალექტი: სამხრეთისა და ჩრდილოეთის. თ. ე. სამწერლობო ენაა. *სალიტ.* ენა სამხრ. დიალექტს ეფუძნება. დამწერლობა შემოღებულია 1932-იდან, თავდაპირველად ლათ. გრაფიკის, 1938-იდან – რუს. გრაფ. საფუძველზე.

ლიტ.: : А л е к с е е в М. Е., Ш и х а л и е в а С. Х., Табасаранский язык, М., 2003; Ж и р к о в Л. И., Табасаранский язык, М.–Л., 1948; М а г о м е т о в А. А., Табасаранский язык, Тб., 1965; Х а н - м а г о м е д о в Б. Г.–К., Очерки по синтаксису табасаранского языка, Махачкала, 1970; მისივე, Табасаранский язык, Языки мира: Кавказские языки, М., 1999; B o u d a K., Beiträge zur kaukasischen und sibirischen Sprachwissenschaft, [Bd.] 3 – Das Tabassaranische, Lpz., 1939.

ა. მაჰომეტოვი